

40 წდამდე პირებისთვის საპენსიო ფონდში შენატანების გაკეთება სავადდებულო იქნება?



დღეს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტზე „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონპროექტს განიხილავენ, რომლის მიხედვით 40 წდამდე პირებისთვის საპენსიო ფონდში შენატანების გაკეთება სავადდებულო იქნება.

ფონდში ხერფასის 2 პროცენტს დასაქმებული შეიტანს, 2 პროცენტს – დამსაქმებელი, ხოლო 2 პროცენტს – სახელმწიფო. კანონპროექტს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები წარადგენენ.

კანონპროექტის ადტერნატიურ ვერსიას წარადგენს ფრაქცია „ქართული ოცნება-სოციალ-დემოკრატები“. დეპუტატ ბექა ნაცვრიშვილის თქმით, მათი ვერსია განსხვავებულია და უკეთ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც საპენსიო მიმართულებით ქვეყანაში არსებობს.

„პირველი ძირითადი განსხვავება არის ის, რომ ჩვენი საპენსიო რეფორმის მიხედვით, პირველივე წერს, ამოქმედდება თუ არა სისტემა, მოქარაქეები მიიღებენ გაზრდილ პენსიას. მეორე განსხვავება ეფუძნება სოლიდარობის პრინციპს, ანუ ვინც დაბარშემოსავლიანია, ის მიიღებს შესაბამისად პროპორციულად უფრო მაღალ პენსიას, გამომდინარე იქედან, რომ უთანასწორობა რაც ქვეყანაშია, საპენსიო ასაკში მაინც შემცირდეს. მესამე განსხვავება არის, რომ აღნიშნული ფონდი ჩვენი ვარიანტით არის ბევრად მდგრადი და უფრო მეტი ფური გროვდება. შესაბამისად, საინვესტიციოდაც ბევრად უფრო მეტი რესურსია“, – განაცხადა ნაცვრიშვილმა.

ადტერნატიური ვერსიით, პენსიის დაგროვების კოეფიციენტი გაცილებით მაღალია.

კანონპროექტს ჯანდაცვის კომიტეტზე დღეს პირველად განიხილავენ.